ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე განხილვის კოლეგიის შემადგენლობა:

ცირა შუბითიძე – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ კბილაშვილი – კოლეგიის წევრი

დავით კაკაბაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ყ. ჩ., ნ. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი 15.08.2011

საჩივრის რეგისტრაციის # 071/11

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 10.01.2012

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ა. მიმართ,

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ა. მიმართ ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია**

1.1 2011 წლის 15 აგვისტოს ეთიკის კომისიას მომართა ყ. ჩ. და ნ. ს. და მოითხოვეს ადვოკატ მ. ა. მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორმა შვილის, ბ. ჩ. სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით საადვოკატო მომსახურებისათვის მიმართა ადვოკატ მ. ა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით ადვოკატს თანხა 500 (ხუთასი) ლარი საბანკო ანგარიშზე ჩაურიცხა, რის შემდეგაც ადვოკატმა სამ ფურცელზე მოაწერინა ხელი. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მან ვერ მოასწრო ხელშეკრულების წაკითხვა, მხოლოდ დაინახა ადვოკატის ხელნაწერი: ბ. ჩ., მ. ა., 1000 (ათასი) ლარი. ადვოკატს არ გადაუცია მისთვის ხელშეკრულების ასლი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა სათანადოდ არ მიაწოდა ინფორმაცია წინასწარი გამოძიების ეტაპზე დაიცავდა მისი შვილის ინტერესებს თუ არა სასამართლოშიც, შესაბამისად მას წარმოეშვა მოლოდინი, რომ ადვოკატს სასამართლოშიც უნდა დაეცვა მისი შვილის ინტერესები.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მეორე დღეს კვლავ მივიდა ადვოკატის ოფისში. ადვოკატი საქმის თაობაზე დამატებითი მასალების მოძიებას დაჰპირდა და კლიენტმა მას დამატებით 100 (ასი) დოლარი და 60 (სამოცი) ლარი გადასცა. საჩივრის ავტორის განცხადებით, თორმეტი დღის შემდეგ ადვოკატს აღარ განუხორციელებია იურიდიული მომსახურება.

2. ადვოკატის პოზიცია

2.1 ადვოკატის განცხადებით, ბ. ჩ. სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით იცავდა ბრალდებულის ინტერესებს წინასწარი გამოძიების ეტაპზე.

2.2 ადვოკატის განცხადებით, მან სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია კლიენტს საქმის თაობაზე და განუმარტა, რომ გაეცნობოდა საქმის მასალებს და კანონით გათვალისწინებული საშუალებების გამოყენებით დაიცავდა კლიენტის ინტერესებს.

2.3 ადვოკატის ახსნა-განმარტებით 2008 წლის 1 ივლისს გააფორმა საჩივრის ავტორებთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და ორდერი გამოწერა. ადვოკატის განმარტებით, კლიენტს თანხა ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში არ გადაუხდია, თუმცა ადვოკატმა არ შეწყვიტა ხელშეკრულება მხარესთან და განაგრძო მისი ინტერესების დაცვა.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ ხელშეკრულების მეხუთე პუნქტის თანახმად მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტს გადაეცემა ხელშეკრულების ასლი. ამასთან, ადვოკატის განცხადებით კლიენტი ხელშეკრულების პირობებს გაცნობილია და ხელი მოწერილი აქვს ხელშეკრულებისათვის, ხოლო რაც შეეხება ხელშეკრულების ასლის გადაცემას, კლიენტს არც წერილობითი და არც ზეპირი ფორმით არ მიუმართავს ადვოკატისათვის ხელშეკრულების გადაცემის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატი ხელშეკრულების ასლს გადასცემდა მას.

2.5 ადვოკატის აღნიშნავს, რომ მის მოვალეობას ორდერის და ხელშეკრულების მიხედვით წარმოადგენდა კლიენტის ინტერესების დაცვა საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაზე.

2.6 ადვოკატის განცხადებით, ბრალდებულს მის მიერ შესრულებული საპროცესო თუ საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოეხსნა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და დარჩა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ბრალდება.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ 2011 წლის 15 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ. ა. მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა კლიენტს არ მიაწოდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შესაძლოა ადგილი ჰქონდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტით დადგენილი ვალდებულების დარღვევას, რომლის თანახმად „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

3.3 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში პირობის მითითება „მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთს უფლება აქვს მიიღოს ხელშეკრულების ასლი“ წინააღმდეგობაში მოდის ადვოკატთა შესახებ კანონით დადგენილ ადვოკატის ვალდებულებასთან, მხარეს გააცნოს და მიაწოდოს ყველა ინფორმაცია საქმის თაობაზე და ხელშეკრულება დადებისთანავე უნდა იყოს მიწოდებული კლიენტისათვის, მიუხედავად იმისა მოითხოვს თუ არა იგი ასლის გადაცემას.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატი მ. ა. იცავდა ბ. ჩ. ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ეტაპზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2008 წლის 1 ივლისის ხელშეკრულება # 3, ორდერი # 3

4.1.2. ადვოკატ მ. ა. და ბ. ჩ. ოჯახის წევრს - ნ. ს. შორის დადებული ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე, რომელიც გაფორმდა 2008 წლის 1 ივლისს და გამოიწერა ორდერი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2008 წლის 1 ივლისის ხელშეკრულება # 3, ორდერი # 3

4.1.3. ადვოკატ მ. ა. საადვოკატო მომსახურების თაობაზე ხელშეკრულება დადებისთანავე არ გადაუცია ნ. ს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ნ. ს. 2011 წლის 15 აგვისტოს საჩივარი # 071/11
2. ადვოკატ მ. ა. ახსნა-განმარტება
3. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2011 წლის 21 დეკემბრის სხდომის ოქმი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა–განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. ა. არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

6.2 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებების ასლები აუცილებლად უნდა იყოს მიწოდებული კლიენტისათვის დადებისთანავე, ან თუ არსებობს ობიექტური ხელისშემშლელი გარემოება მისი აღმოფხვრისთანავე. კომისია აღნიშნავს, რომ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, მისი დადასტურების შემთხვევაშიც კი, რომ მხარეები გაეცნენ ხელშეკრულებას და ამის შემდგომ მოაწერეს ხელი, რადგან შეუძლებელია, რომ მხარემ გონივრულად გაითვალისწინოს, რომ მეორე მხარე, მით უმეტეს, თუ ის მომხმარებელია, ზეპირად დაიმახსოვრებს ხელშეკრულებას, რომელიც, როგორც წესი, შეიცავს სტანდარტულ პირობებს. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომხმარებლისთვის სამოქალაქო კოდექსის 343-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად. აღნიშნული ნორმა კომისიის მიერ განიმარტება იმგვარად, რომ

კლიენტისთვის არამარტო ხელშეკრულების დადებისას, არამედ მისი მოქმედების განმავლობაშიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები.

6.3 ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ა. დადებისთანავე უნდა მიეწოდებინა ხელშეკრულება კლიენტისათვის, მიუხედავად იმისა მოითხოვა თუ არა კლიენტმა ხელშეკრულების ასლის გადაცემა. კომისია ყურადღებას ამახვილებს გარემოებაზე, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში პირობის მითითება „მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთს უფლება აქვს მიიღოს ხელშეკრულების ასლი“ წინააღმდეგობაში მოდის ადვოკატთა შესახებ კანონით დადგენილ ადვოკატის ვალდებულებასთან, მხარეს გააცნოს და მიაწოდოს ყველა ინფორმაცია საქმის თაობაზე. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის ვადის და სხვა დამატებითი პირობების თაობაზე. შესაბამისად, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კლიენტისათვის ადვოკატის მიერ მთელი საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი გაკონტროლება.

6.4 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ 2010 წლის 23 სექტემბრის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით (საქმე #066/10) „ხელშეკრულებების ასლები ხელმოწერის შემდგომ ადვოკატმა უპირობოდ უნდა გადასცეს მხარეებს, მიუხედავად იმისა არსებობს თუ არა მხარეებისგან ხელშეკრულების ასლის მოთხოვნა, მით უმეტეს, როცა როგორც განსახილველ შემთხვევაში საქმეში არსებობს სადაო ფაქტობრივი გარემოება: კლიენტისაგან ხელშეკრულების გადაცემის მოთხოვნის დაყენება“.

6.5 ეთიკის კომისიამ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად დაადგინა, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია 2008 წლის 1 ივლისს და ადვოკატს კლიენტისათვის არ გადაუცია ხელშეკრულება დადებისთანავე, რაც ადვოკატთა შესახებ კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს. თუმცა ადვოკატს ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა, რადგან სადაო ქმედების ჩადენის დროისათვის გასულია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადა - 3 წელი. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ სადავო ქმედების ჩადენისას, 2008 წლის 1 ივლისს, მოქმედებდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (2002 წლის რედაქცია) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი და ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა დისციპლინარული წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების (2006 წლის 15 აპრილის რედაქცია) მე-3 მუხლი, რომელის მიხედვით, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ” დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ მ. ა. დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისროს.
2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ცირა შუბითიძე – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ კბილაშვილი – კოლეგიის წევრი

დავით კაკაბაძე – კოლეგიის წევრი